ანაკლია თოკოსის პირველი ფონდი

287 Опись № 1 ед. хр. № 56

287 1 № 56

დასკანირებულია
15.01.2025 7

„ლიტერატურული საქართველო"
1963, 5/XI, №49

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲝᲛᲐᲗᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ

ᲐᲡᲘ წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი პირველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია მეორედ გამოიცა. ეს ღირსშესანიშნავი თარიღია საქართველოს კულტურული ცხოვრების მატიანისა.

დ. ჩუბინაშვილის სახელი, უპირველეს ყოვლისა, ქართული ლინგვისტიკის ისტორიასთან არის დაკავშირებული. თავის ღრმად შინაარსიან ცხოვრებას 1814 წელს თბილისში დაბადებული დ. ჩუბინაშვილი 1891 წელს პეტერბურგში ამთავრებს,ეს ქალაქი ადრიდანვე მის მუდმივ საცხოვრებელ ქალაქად იქცა. იქ დაამთავრა მან ჯერ გიმნაზია, შემდეგ უნივერსიტეტი, სადაც 1844 წლიდან 1871 წლამდე ქართული ენის კათედრას განაგებდა. იგი პირველი ქართველი პროფესორი იყო, რომელმაც ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოს და რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოქვეყნებით ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ლექსიკოგრაფიისა და ლინგვისტიკის განვითარებას.

მაგრამ დ. ჩუბინაშვილი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის ნაკლებ საყურადღებო როდია. იგი, როგორც ნაბეჭდი ქართული ლიტერატურული ქრესტომათიის პირველი შემდგენელი, ამ ისტორიის სათავეებთან დგას. „ამ ქრესტომათიამ, — წერს აკად. კ. ჰაიდეიძე, — მტკიცე საფუძველი დაუდო ძველი მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ შესწავლას, რამდენადაც, ნაწილობრივ მაინც, ხელმისაწვდომი გახადა ისინი დაინტერესებულ პირთათვის". („ძველი ქართული მწერლობის ისტორია", ტ. I, 1951, გვ. 17). მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან ჩუბინაშვილის ქრესტომათიამდე პროზაიკული თხზულებანი არიან, გიმნაზიაში მესამე და მეოთხე კლასში სახმარებელია, მოსწავლეები კი ვერ პოულობენ... საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, რომ მოსწავლეები და მასწავლებლები ამ მხრივ მაინც შეივსროებულნი არ იყვნენ". ამ წიგნს დიდად აფასებდნენ აკ. წერეთელი, ი. გომბაშელი და სხვა მოღვაწენი.

დ. ჩუბინაშვილმა თავისი ქრესტომათია პირველად 1846 წელს გამოსცა. იგი დაიბეჭდა პეტერბურგში, პეტერბურგის უნივერსიტეტის სახჭოს 1846 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით. წიგნი გაყოფილი იყო ორ ნაწილად. პირველში (458 გვ.) პროზა იყო წარმოდგენილი, მეორეში (242 გვ.) — ლექსები. ორივე ნაწილს წამძღვარებული ჰქონდა რუსულ ენაზე დაწერილი წინასიტყვაობა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მე-19 საუკუნის 40-იანი წლებისათვის ასეთი ნაბეჭდი ქრესტომათიების შედგენის ტრადიცია ჩვენში არ არსებობდა, მაშინ, უეჭველია, მისი შემდგენელი უნდა დაყრდნობოდა რუსული ქრესტომათიების მაგალითს, რაც მაშინდელს პეტერბურგში შექმნილებისათვის არც ისე მიუწვდომელს წარმოადგენდა.

დ. ჩუბინაშვილისა და ნ. გრეჩის ქრესტომათიების (1822–1830 წ. წ.) შედარების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ქართველ ფილოლოგს ბრმად მიბაძვისა კი არა, დამოუკიდებელი გზა ეურჩევია. როგორც ჩანს, ქრესტომათიის პირველი გამოცემის დროისათვის შემდგენელს წიგნის მთავარ დანიშნულებად მხოლოდ თავის გარკვეული დროის მანძილზე სასწავლო ხასიათი როდი მიაჩნდა, იგი ფიქრობდა რუსი მკითხველისთვის რამდენადმე სწორი წარმოდგენა შეექმნა ქართული ლიტერატურის სიდიადის, ქართველი ხალხის მდიდარი კულტურული წარსულის შესახებ.

ამ პატრიოტულ მიზანს ისახავდა პირველ რიგში სათანადო ცოდნითა და ტექნიკით რუსულ ენაზე დაწერილი წინასიტყვაობები, რომლებშიაც განსაკუთრებული სიყვარულით იყო გამუქებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" და სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა. დ. ჩუბინაშვილი თავის ქრესტომათიაში გვერდს უვლის გავრცელებული წესების საფუძველზე ძველი ქართველთა მიერ აშენებული ჯვარის მონასტრის აღწერილობა. აღწერს რა ამ მონასტრის ისტორიას, ტ. გაბაშვილი ერთგან პირდაპირ მიუთითებს: „ცალად დაძველებულა რა მონასტერი ესე ჯვრისა და გუშმათის ქვითნი სეტენი; განუახლებია და დაუხატვნებია შოთას რუსთაველსა, შეჰმურჭლეთიუხუცესს თამარ მეფისასა, თვითონაც შიგ ხატია „მოხუცებული" (ქრესტომატია, ნაწილი I, 1846, გვ. 149).

უკანასკნელ ხანებში, როგორც ცნობილია, აკადემიკოსების აკ. შანიძის, გ. წერეთლისა და პოეტ-აკადემიკოსის ირ. აბაშიძის იერუსალიმში სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად შოთა რუსთაველის ნამდვილი პორტრეტი მართლაც აღმოჩენილ იქნა. უნდა ვივარაუდოთ, რომ შოთა რუსთაველის საფლავის ადგილსამყოფელად იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მიჩნევის შესახებ მოსაზრებათა წამოყენების ერთ-ერთი საფუძვლათაგანი სწორედ ის ცნობებია, რომლებიც მოცემულია დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიაში. აქვე აღსანიშნავია, რომ მე-12 განყოფილებაში ანდაზები დალაგებულია ქართული ანბანის მიხედვით, რომელშიც სრულიადაც არ გვხვდება ის ხუთი ასო-ბგერა, რომლებიც, როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემ სავსებით უკანადო უფრო ვიდრე, 1861 წელს.

დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიისადმი ქართველ მკითხველთა ინტერესი იმდენად გაიზარდა, რომ აუცილებელი გახდა მისი მეორედ გამოცემა. ეს მოხდა სწორედ ამ ასი წლის წინათ, 1863 წელს, სულ სხვა ვითარებასა და ეპოქაში. ეს გამოცემა სავსებით განსხვავდება პირველისაგან, როგორც მოცულობის, ისე შინაარსის, მასალათა მრავალფეროვნების, მათი იდეურ-მხატვრული ღირებულებისა და თვით დალაგების პრინციპის თვალსაზრისითაც. მეორე გამოცემაში დ. ჩუბინაშვილის მიერ უფრო სრულად არის წარმოდგენილი ძველი ქართული მწერლობა (საგმირო-სარაინდო ეპოსის გარდა, შეესებულია შაირებით, ჩახრიხაძით, თეიმურაზ პირველით, დავით გურამიშვილით და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან ყველაზე ფართოდ აღ. ჭავჭავაძის შემოქმედების ნიმუშებით). მას დიდ ღირსებას მატებდა ავტორის ის ფაქტი, რომ ნიკ. ბარათაშვილის „მერანი", „სულო ბოროტო", „ჩემი ლოცვა" და პოემა „არაგვის" ნაწყვეტი ქრესტომათის გზით ხელმისაწვდომი გახდა მკითხველი მასებისათვის.

ამრიგად, დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათის 1863 წლის გამოცემის პირველმა (პროზა) და მეორე ნაწილმა (პოეზია) არსებითად მოიცვა ძველი ქართული მწერლობისა და მე-19 საუკუნის, პირველი ნახევრის ზოგიერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის (აღ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი და სხვ.) საუკეთესო ქმნილებანი. მასალათა სიუხვემ და სიმდიდრემ ქრესტომათიის ავტორს საშუალება მისცა მათი კლასიფიკაცია გარკვეული პრინციპის. ამ შემთხვევაში ქონრობრივი თავისებურების მიხედვით მოეხდინა.

დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიის შეფასებისას გვერდს ვერ ავუვლით იმ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებს, რომლებიც გამოჩნდა განსაკუთრებით 1863 წლის გამოცემასთან დაკავშირებით ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე. ამ ჟურნალის 1865 წლის ივლისის ნომერში ღვიძელის ფსევდონიმით დაბეჭდა ჩვენთვის უცნობი ავტორის საკმაოდ მოზრდილი რეცენზია დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიის შესახებ სათაურით: „ჩვენი დროის მწერლები". რეცენზენტი გაბაფთრებით ესხმის თავს ქრესტომათიის შემდგენელს და მკვახე ტონით უსაყვედურებს, რომ ქრესტომათიაში გამოსახულება ვერ ჰპოვა 60-იანი წლების ეპოქის ორმა დიდმა პოემა ი. ჭავჭავაძემ და აკ. წერეთელმა.

„ცისკრის" იმავე წლის ნოემბრის ნომერში ჯანაშვილი დ. ჩუბინაშვილს გამოეკამათა და დაიცავა იგი ღვიძელის შეურაცხყოფილი თავდასხმისაგან: მაგრამ დ. ჯანაშვილი ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა. დ. ჯანაშვილი არსებითად ისეთსავე უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა თანამედროვე ქართული მოწინავე რეალისტური მწერლობისადმი, როგორსაც იჩენდა რუსეთში ი. ბუსლაევი. ეს უკანასკნელი მე-19 საუკუნის 40-იან წლებში აჭარბებდა უარყოფდა ქრესტომათიაში პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვისა და სხვათა შეტანას იმ მოტივით, რომ მათი ადგილი თითქოს „რუსეთის ლიტერატურის ისტორიაში ჯერ კიდევ არ იყო გამკეთილი". ასევე დ. ჯანაშვილი ჩუბინაშვილის ქრესტომათიაში ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის თხზულებათა შეუტანლობას იმით ამართლებს, რომ მათი ნაწერების „სარგებლობა არა ჩანს, მათი თხზულებანი ხალხში არ გატანილა დღემდე".

მიუხედავად ამ ნაკლისა, დ. ჩუბინაშვილის მიერ პეტერბურგში გამოცემული პირველ ქართულ ლიტერატურულ ქრესტომათიებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ის პირველი სახელმძღვანელო იყო, რომელსაც სკოლებში პრაქტიკულად იყენებდნენ სასწავლო მიზნებისათვის და რომლითაც თითქმის წლების მანძილზე ლიტერატურულ განათლებას იძენდა ჩვენი ახალგაზრდობა.

დიდი ხელოვანი

უშანგი ჩხეიძის დაბადების 65 წ

ვაჟა-უშანგელას გარდაცვალების 20 წლის თავზე ერთი ქართველი პოეტი მიმართავდა დიდებულ მგოსანს: „თანდათან გაგზრდის ყოველი წელი, მაგრამ ვერასდროს ვერ დაგაბერებსო.“ ეს სიტყვები თამამად შეიძლება გავიმეოროთ ჩვენი სცენის ბრწყინვალე ოსტატ უშანგი ჩხეიძეზე.

უშანგი ჩხეიძის სახელი თანდათან იზრდება. ქართულ სცენაზე მისი ნიჭის უეცარი აღმობრწყინება და მისი გულმართალი და ტრაგიკული ცხოვრების ლეგენდის მსგავსი დასასრული სულ უფრო და უფრო ინტერესს იწვევს, როგორც ხელოვანთა შორის, ისე ფართო საზოგადოებრიობაში.

ეს ერიდი შეხედვით თითქოს უცნაურია. თუ სხვა დარგის ხელოვანის ნამოღვაწარი ყველა თაობისათვის ხელშესახები რჩება, მათი ნაწარმოებებით შემოქმედსა და შემდგომი დროის ადამიანებს შორის ღრმა, უშუალო სულიერი კავშირი მყარდება, იგივე არ შეიძლება ითქვას აქტიორულ ხელოვნებაზე, რადგან მსახიობისაგან რამდენიმე მუნჯი ფოტო-სურათისა და ზოგიერთი მაუწერებლის შთაბეჭდილებათა გარდა არაფერი რჩება. მაგრამ დიდი ხელოვანი, რა დარგშიც არ უნდა მოღვაწეობდეს იგი, ხალხის გულში მარადიულ სიცოცხლეს ინარჩუნებს, და დრო მის სახელს ელვარებას მატებს.

ასეა უშანგი ჩხეიძის არტისტული სახელი!

1959 წელს უშანგის გარდაცვალების 6 წლის, ხოლო სცენიდან მისი წასვლის 25 წლის შემდეგ, ცნობილი უკრაინელი მწერალი ოსტაპ ვიშნია, დაბადების 70 წლისთავზე აქვეყნებს თავისი ცხოვრების დღიურებს, რომელშიც კვითხულობთ: „ოდესაც (ნაგულისხმევია 1929 წელი. ა. თ.), ხარკოვში კოტე მარჯანიშვილის თეატრის გასტროლებს ვესწრებოდი. მშვენიერი თეატრია და ამ თეატრს ჰყავდა შესანიშნავი მსახიობი — უშანგი ჩხეიძე.

ხარკოველებს ძლიერ შეუყვარდათ ეს თეატრი. ჩვენ, მწერლები, როგორც იტყვიან ხოლმე, დღედაღამ იქ ვისხედით.

ყოველდღე, სპექტაკლის შემდეგ, მსახიობებთან ერთად „კრასნოეში“ მივდიოდით სავახშმოდ.

არ მახსოვს, რომელიღაც პიესაში ჩხეიძე სპექტაკლის მსვლელობის დროს ჩურჩულით ლაპარაკობდა. მაგრამ ეს ჩურჩული დარბაზში ჰქონა-ჭუხილივით გაისმოდა.

ვახშამზე მარჯანიშვილს ვკითხე:

— როგორ შესძლეით ეს? როგორ მოხდა, რომ კაცი ჩურჩულით ლაპარაკობს, ხოლო დარბაზში თითქოს ქუხილი ისმის.

ჩხეიძეც იქვე იჯდა. ულამაზესი კაცი იყო, თავმდაბალი, მშვიდი, ჩუმი...

იცით რა მიპასუხა მარჯანიშვილმა?

— აბა, ახე არ გააკეთოს! მოკვლავ!

— თქვა ეს და აკოცა ჩხეიძეს!“ („ლიტერატურნაია გაზეტა“, 1959 წ. 14 თებერვალი).

1960 წელს უკრაინაში რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს უშანგი ჩხეიძეს ასეთივე სიყვარულით იგონებდა გამოჩენილი უკრაინელი რეჟისორი და თეატრმცოდნე ვ. გაკემაში.

ეს ნათელი ფაქტია იმისა, თუ როგორ არ შენელებულა იმ შთაბეჭდილებათა სიმხურვალე, რომელიც უშანგის შემოქმედებიმა ცეცხლმა დაგვიროვა ქართულ სცენაზე.

ვინც ერთხელ მაინც იხილა და უშუალოდ ეზიარა უშანგის შემოქმედებითს ოსტატობას, იგი მისთვის მუდამ დაუვიწყარია. საგულისხმო კიდევ ის არის, რომ ვინც არ მოსწრებია და მისი თამაშის დროს განუზომელი სიხარული არ უგრძვნია, ეს ჯადოსნური ნიჭის მსახიობი მის გულშიაც განაგრძობს სიცოცხლეს.

უშანგი ჩხეიძე სრულიად ახალგაზრდა ვიდა არტისტული შემოქმედების უმაღლეს მწვერვალზე. იგი 27 წლის ჭაბუკი იყო, როცა ბრწყინვალედ განასახიერა „ყველა მსახიობის ოცნება“ — ჰამლეტის როლი. მსგავსი შემთხვევები იშვიათია თეატრის ისტორიაში.

ამ მწვერვალიდან უშანგი ჩხეიძე შემდეგ არ ჩამოსულა. მისი მომდევნო, ღრმა ფსიქოლოგიური როლები (ბშრად კონტრასტულნიც!) — გოდუნი, კარლ ტომასი, ურიელი, ჩენჩი, ბეგლარი, კვეტენაძე, ყვარყვარე, იაგო და სხვა, — ქართული საბჭოთა თეატრის უმაღლესი მწვერვალებია.

უშანგი ჩხეიძე ახლა 65 წლისა იქნებოდა. იგი 55 წლის ასაკში გარდაიცვალა, ხოლო 36 წლისამ სამუდამოდ დატოვა თეატრი. იგი მაშინ წავიდა სცენიდან, როცა მისი ჰამუკური ენერგია ფრთებს შლიდა, როცა მისი შემოქმედებითი ძალები და არტისტული უნარი ჯერ კიდევ გაფურჩქვნის პროცესში იყო.

თეატრიდან წასვლის შემდეგ უშანგის ხელი მოჰკიდა სამწერლო მოღვაწეობას და, მიუხედავად ავადმყოფობისა, მაინც შესძლო ჩვენთვის საკმაო რაოდენობის ლიტერატურული მემკვიდრეობა დაეტოვებინა. ქართული დრამატურგიის ძვირფას საგანძურში შევიდა მისი ხუთმოქმედებიანი დრამა „გოორგი საკაძე“, ხოლო მემუარულ-თეორიული ხასიათის ნაშრომი „ლოტე მარჯანიშვილი — რეჟისორი და ხელმძღვანელი“ დიდი ქართველი რეჟისორის შესახებ დაწერილი ერთ-ერთი შესანიშნავი ნაშრომია. მას დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს ავტორეტად მეტად საინტერესო მოგონებები და წერილები თეატრის საკითხებზე და გამორჩენილ მსახიობთა შემოქმედებაზე.

სამწუხაროდ, უშანგის მოღვაწეობის დროს ჩვენში არ არსებობდა ხმის ჩაწერის პრაქტიკა. ამიტომ ჩვენ არ მოგვეპოვება არც მარჯანიშვილისა და ახმეტელის კლასიკური დადგმების გადაღებები და არც დიდ მსახიობთა მეტყველების მაგნიტოფონური ჩანაწერები. მსახიობის ხმის მაგნიტოფონზე ჩაწერა შესაძლებელი გახდა მხოლოდ უშანგის ავადმყოფობის პერიოდში, თეატრიდან მისი წასვლის დიდი ხნის შემდეგ. მეგობრების ინიციატივითა და დახმარებით მან შესძლო ალედგინა რამდენიმე მონოლოგი მაგნიტოფონზე ჩასაწერად.

და ახლა, როცა ვისმენთ მის ხავერდოვან და ცისარტყელასავით მრავალფეროვან ხმას, ჰამლეტის, ურიელის, ყვარყვარეს, დარისპანის და სხვათა მონოლოგებს, ანდა მის მიერ წაკითხულ ქართული პოეზიის ნიმუშებს, მაშინვე ვგრძნობთ მის ბრწყინვალებას, და ადვილი წარმოსადგენი ხდება, თუ შთაგონების როგორი სიძლიერე ჰქონდა ქართულ სცენაზე. აქ უთუოდ გაგახსენ-

---

ზაქარია შერაზადიშვილი

თვითმფრინავიდან

გადმოვიქრწყეთ წუხის მიხედვით,
მთები ლიხისა შუა გავხერხეთ,
თეთრი ხიდები, რუხი ხიდები
თვითმფრინავიდან ჰგვანან ცხრაფეხებს.
ცისკენ ვიწევდით დიდი რიხითა,
ახლა მშვიდობით დაბლა ვეშვებით,
გადმოვიარეთ მთები ლიხისა,
მთები, ხმელეთის მძიმე ეშვები.
იქნებ სწორი ვარ, იქნებ მეშლება
ცაში ნამყოფს და უკან ნაოტებს,
მთაგრეხილები თეთრი ეშვებით,
რომ მივამსგავსე ველურ მამონტებს.

„ნასესხები“

თუ მარტმა ძალნი დარაზმა,
შემოიქნია კუდი,
შვინდსა და ნუშსა ლამაზსა
დღე დაუდგება ცუდი.
სიცივისაგან გაძაგრულთ
ვინღა გაუჩენთ ხალვასას?!

გოლდონის პიესა საქართველოზე

დიდმა იტალიელმა დრამატურგმა კარლო გოლდონმა 1761 წელს ვენეციაში დადგა პიესა სახელწოდებით — „მშვენიერი ქართველი ქალი“. ეს არის ავტორის რომანტიკული კომედიებისა თუ ტრაგიკომედიების მსგავსი ხაზარმოები. მიუწყლვდა რა ხარკს ეგზოტიკით გატაცებას, რაც ასე გავრცელებული იყო იმ დროს, გოლდონს ამგვარი პიესების მოქმედება ხშირად გადაჰქონდა ახალაღმოჩენილ მიწებზე ან აღმოსავლეთის შორეულ ქვეყნებში.

ტრაგიკომედია „მშვენიერი ქართველი ქალი“ აგებულია დასავლეთ საქართველოს შიანური ბრძოლების ფონზე. მოვლენათა ცენტრში არიან გურიის მთავრის ქალიშვილი თამარი და იმერეთისა და სამეგრელოს მეფე დადიანი, რომელსაც პატივმოყვარული გახზრახვების გამო სურს თავის სამფლობელოს შეუერთოს გურია და ეძებს ომის მიზეზებს. თამარი მოხვდება გაჩაუბული საომარი მოქმედების შუაგულში. ბრძოლის ველზე მისი მამა იმარჯვებს. მაგრამ, იმისათვის, რომ ქვეყანა გამოიყვანოს შინაური ომიდან, თამარი მამამისს დაარწმუნებს დადიანს შეურიგდეს. თამარი ცოლად მიჰყვება დადიანს და მძაფრი მოვლენები [illegible] საქართველოში არ ყოფილ[illegible] ... თითონ საქართველოში არ ყოფილა. ამ პიესის მასალები პიესის დაწერამდე ოთხი ათეული ზამთარი და ზაფხული გასულა, რაც მშობლიურ სოფელში არ ყოფილვარო. აი მისი სურათი: ტაფობში გაბნეული იმერული ოდები. ყველგან დ[illegible] ყოველმხრივ სარებზე აკრული ვაზები აქა-იქ ეკეებერთელა კაკლის ხეები, ოდები, დილით და საღამოთი ბუხრებიდან კვამლი რომ ამოდის. გორაკზე ტაფობს რომ თავს წამოსდგომია, ქვიტკირის თეთრად შეფუთქილი საყდარი აღმართულა. საყდრის გარშემო ძელქვისა და ურთხმელის ჩრდილში მძიმედ წვანან საფლავის ქვები.

ამ ადგილს ირმოცი წლის წინათ გავშორდი, მაგრამ აქ კვლავ მიმიყვანა ადამიანის გულში მარადიულად ჩაუდებულმა, ამოუწურავმა გრძნობამ — მშობლების სიყვარულმა. საყდრის გალავანში ჩემი წინაპრების სასაფლაოზე, ჩემთვის ძვირფასი ქვა მეგულვის. ის უნდა ჰპოვო.

არც კი მახსოვს დედის სახე. აბა რა დამამახსოვრებოდა, ხუთი წლის ბავშვი ვიყავი, როცა დედა დამეცუა. ამიტომ მინდა ვნახო ის ქვა. იქნება აღვიდგინო მეხსიერებაში სახე მშობლისა.

დავდივარ, დავეხეტები ლოდებს შორის. უბრალოდ გათლილ ქვებზე აქა-იქ ამოკვეთილია ცხვარი და ჯვარი. არის წარწე-

ക്ലാസ് (2) (ഓർമ്മയിൽ)

02.11.93

ഗുണിതമാല